

## პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო სამზადისი სამეგრელოში

თამარ ზანთარაია

ზუგდიდი

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე პოლიტიკურმა პარტიებმა სამეგრელოში წინასაარჩევნო სამზადისი მეტ-ნაკლები აქტიურობით დაიწყეს. პარტიების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამ ეტაპზე ადამინური რესურსის მოძიება მიმდინარეობს, რის შემდეგაც აქტიურ მუშაობას დაიწყებენ. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ახალი მემარჯვენეები“, „ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა“, „სახალხო კრება“, „განახლებული საქართველოსთვის“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ და კოალიცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ეს იმ პოლიტიკური სუბიექტების ჩამონათვალია, რომლებსაც ზუგდიდში ოფისები აქვთ და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავენ.

ბიზნესმენ და პოლიტიკოს ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებულმა კოალიციამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ოფისი ზუგდიდში მარტის თვეში იქირავა. ოპოზიციური პარტიის ოფისის მესაკუთრე, საქართველოს საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში გუბერნატორის მოადგილის და, დოდო ცხადაიაა. მან ინტერნეტ-გამოცემა „ლაივპრესს“ მარტში განუცხადა, რომ საოფისე ფართი მის სახელზე „გარკვეული პრობლემების გამო იყო და რომ ოფისის რეალური მფლობელი გოჩა ნარმანიაა“. მოგვიანებით, ნარმანია იმ ადამიანების სიაში აღმოჩნდა, ვინც კონტროლის პალატას ზუგდიდის გამგეობის შენობაში ახსნა-განმარტება მისცა. კოალიციის ზუგდიდის ოფისი მაისში, მას შემდეგ გაიხსნა, რაც „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ირაკლი ალასანია საცხოვრებლად ზუგდიდში გადმოვიდა.

ირაკლი ალასანია ამბობს, რომ სამეგრელოში ხელისუფლების მიერ საგანგებოდ „დათესილი“ შიშის დასამარცხებლად და „ხალხის გვერდით“ დასადგომად გადმოვიდა. მან ჩამოსვლის პირველივე დღეს, 4 მაისს, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ კოალიციის ზუგდიდის ოფისს ამჟამად პატიმრობაში მყოფი „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, სერგო ჩაჩიბაია უხელმძღვანელებს. კოალიციის წევრები სერგო ჩაჩიბაიას დაკავებას მის პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირებენ და მას პოლიტპატიმარს უწოდებენ. ჩაჩიბაიას ბრალი ედება ცივი იარაღის ტარებაში და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. ის სამართალდამცავებმა 25 მარტს, ზუგდიდის ერთ-ერთ ავტოსახელოსნოში უცხო პირთან შელაპარაკებისას დააკავეს.

სანამ სერგო ჩაჩიბაიას სასამართლო პროცესები მიმდინარეობს, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი ირაკლი ალასანია იქნება. მისი განცხადებით, ოფისი უკვე სრულყოფილად მუშაობს და კვირაში ერთი დღე -

პარასკევი, ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს ეთმობა. კოალიციამ სოფლებში გასვლითი შეხვედრებიც დაიწყო.

„ამ ეტაპზე, რაიონული ოფისები მთელი სამეგრელოს მასშტაბით გვაქვს ჩამოყალიბებული. 8-9 დღეა, რაც მოსახლეობასთან შეხვედრებს ვმართავთ. ჩვენი უმთავრესი მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარება. ჩვენ წელში გავმართავთ და ფეხზე დავაყენებთ სოფელს, გლეხს. გვაქვს კონკრეტული შეთავაზებები სოფლის მეურნეობის ფონდის ჩამოყალიბების შესახებ. მიმდინარეობს კონკრეტიკა - რა საბიუჯეტო რესურსი დაგვჭირდება ამისთვის. ჩვენი მთავარი მიზანია განათლების სისტემის ხელმისაწვდომობა. ჩვენ ვამბობთ, რომ ყველა სოფელს ექნება თავისი დაწყებითი სკოლა. უმარავი სკოლა დაიხურა და ბავშვებს სკოლამდე მისასვლელად 5-6 კილომეტრის გავლა უწევთ. მოქალაქეებს ვპირდებით, რომ ისინი სამედიცინო მომსახურებით იქნებიან უზრუნველყოფილი“.

ირაკლი ალასანიას განმარტებით, კოალიციის მიზანია, ასევე, სამართალდამცავი სისტემის და სასამართლოს დეპოლიტიზება, რადგან სასამართლო პირდაპირ ექვემდებარება პროკურატურას.

„მე არ ვსაუბრობ საპატრულო და კრიმინალურ პოლიციაზე, რომელმაც მართლაც უზრუნველყო ამ ბოლო წლებში ჩვენი უსაფრთხოება, მათ შორის, სამეგრელოშიც. ეს მისასალმებელია. მე ვსაუბრობ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტზე, რომელიც პირადად კონტროლდება პრეზიდენტის მიერ“, - ამბობს ირაკლი ალასანია.

მისივე თქმით, დამთხვევა არ ყოფილა, როცა ზუგდიდის პროკურატურის შენობის წინ ასაფეთქებელი ნივთიერების აღმოჩენა სამეგრელოში მის ვიზიტს დაემთხვა. ალასანია მიიჩნევს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიები არათანაბარ პირობებში იმყოფებიან, რადგან ოპოზიციური პარტიებისთვის ხელმისაწვდომი არ არის ნაციონალური არხები.

„ჩვენ აქტიური მომხმარებლები ვართ სოციალური ქსელების და მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ცუკერბერგს, რომ ფეისბუკით მაინც ვაწარმოებთ ჩვენს პიარკამპანიას“.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი დარწმუნებულია კოალიციის წარმატებაში, რადგან მასში პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანები არიან თავმოყრილი.

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ არსებობას დროებითს და არამყარს უწოდებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე ლაშა დამენია. იგი მმართველი პარტიის წარმატებაში დარწმუნებულია და სხვა პარტიებთან მიმართებით უპირატესობას გრძნობს, რადგან, მათგან განსხვავებით, ნაციონალურ მოძრაობას „კონკრეტული, სრულყოფილად ჩამოყალიბებული პროგრამა აქვს“.

„ნაციონალური მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაციამ ახალი ოფისი მაისის თვეში იქირავა და აქტიური მუშაობაც დაიწყო. ლაშა დამენია ამბობს, რომ შეამცირა უბნების რაოდენობა მათი უკეთ გაკონტროლების მიზნით.

„ვეგემავ, გავაქტიურდე პრობლემურ უბნებზე - იქ, სადაც ადრე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გვექონდა. ხალხი, ვინც ამაზე მუშაობს, ის სამეგობრო წრეა, ვისთანაც წლების განმავლობაში მიმუშავია. სოფლებში შტაბის ხელმძღვანელები იქნებიან პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარეები - საკრებულოს წევრები. სოფლებში კოორდინატორებისა და შტაბის ხელმძღვანელების შერჩევის საკითხს, ფაქტობრივად, მოვრჩი. ამ ეტაპზე ზუგდიდის ოფისში 8 ადამიანი მუშაობს ყოველდღიურად. 3-4 უბანში ახალი კადრები შეირჩა“, - ამბობს ლაშა დამენია.

მისი განმარტებით, ნაციონალური მოძრაობა სამოქმედო პროგრამას საარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე წარადგენს, თუმცა, მისივე თქმით, ძირითად პრიორიტეტებად - განათლების სისტემის სრულყოფა, ეკონომიკის განვითარება და ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება ისევ რჩება. დამენია მიიჩნევს, რომ საქართველოში ოპოზიცია პრაგმატული გეგმებით არასოდეს გამოდიოდა, რაც მათი მთავარი პრობლემაა.

„ოცნებას სურს, ნომერ პირველი ოპოზიციური პარტიის სახელი დაიმკვიდროს. ბიძინა იმნაიშვილის თუ ივანიშვილის რეიტინგი დაეცა მას მერე, რაც ის პოლიტიკაში მოვიდა. ოპოზიციური პარტიის პრობლემა ის არის, რომ გაიძახიან, მე მომეცი ხმაო და ამ დროს პროგრამული გეგმები არ აქვთ, როგორ განავითარებენ სოფლის მეურნეობას, ეკონომიკას და ასე შემდეგ“. დამენია ამბობს, რომ კოალიციაში პარტიები ზიზლით გაერთიანდნენ, რადგან „ვიღაც არ მოსწონთ“. მას მიაჩნია, რომ შეუძლებელია სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას ქვეყნის მშენებლობის ერთი გეგმა ჰქონდეს.

პოლიტიკურ კოალიციაში შემავალი „რესპუბლიკური პარტიის“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ნონა თოლორაია აცხადებს, რომ დღეს, გლობალიზაციის პირობებში, პოლიტიკურმა სუბიექტებმა ერთად უნდა იპოვონ გზა ევროინტეგრაციისკენ.

„რესპუბლიკურ პარტიას ევროპისაკენ და ამერიკისაკენ ხედვა არ შეუცვლია. ჩვენი ხედვა - რომ არ ვართ მომხრე რაიმე სახის რევოლუციების, ძალადობის; რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით; რომ 3-4 პარტია უნდა იყოს ხელისუფლებაში, რათა აკონტროლონ ერთმანეთი - თანხვედრია „ქართული ოცნების“ ხედვასთან“, - ამბობს ნონა თოლორაია.

იგი ამბობს, რომ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ არასოდეს უღალატებს თავის იდეოლოგიას და განმარტავს, რომ კოალიციაში გაერთიანების შემდეგ „რესპუბლიკურ პარტიაში“ განსაკუთრებულად არაფერი შეცვლილა.

„ვიღაცებს ჰგონიათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ტომრებით გვირიგებს ფულს და ოქრო-ვერცხლს დებს ოფისებში. ფიცს ვერ დავიწყებ, მაგრამ შემძლია დაგარწმუნოთ, რომ ერთადერთი, რაც ახლა ანაზღაურდება, - საწვავის, ტელეფონისა და ოფისის გადასახადია“.

ნონა თოლორაის თქმით, „რესპუბლიკური პარტიის“ ზუგდიდის ორგანიზაცია ხელისუფლების მხრიდან ზეწოლას ყოველთვის გრძნობდა, თუმცა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, „პარტიის წევრების ტელეფონებზე მუქარის ზარები მატულობს“. ხოლო რაც შეეხება სხვა ოპოზიციურ პოლიტიკურ სუბიექტებს, ნონა თოლორაია მიიჩნევს, რომ „ქრისტიან-დემოკრატები“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ და „ახალი მემარჯვენეები“ თავს კომფორტულად გრძნობენ, რადგან ისინი ხელისუფლებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

ჩამოთვლილ პოლიტიკურ სუბიექტებზე იგივე აზრი აქვს „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ზამირა ლაღუას. მისი თქმით, ჩამოთვლილ პარტიებს განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა აქვთ ხელისუფლებასთან.

ზამირა ლაღუას თქმით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან სატელეფონო მუქარა და პარტიის ოფისისადმი განსაკუთრებული ყურადღება არ წყდება.

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ 21 მაისს გეგმავს გაფართოებულ სხდომას და სამოქმედო პროგრამასაც, სავარაუდოდ, მაშინ წარადგენს. არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას, თუმცა, დეტალები, ვისთან ერთად იქნება, რა ფორმით იქნება, ბლოკი იქნება, თუ თანამშრომლობის სხვა ფორმა, ეს, ალაბთ, გაირკვევა. მოვლნებს ნუ გავუსწრებთ“, - აცხადებს ზამირა ლაღუა.

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ზუგდიდის ოფისში ყოველდღიურად 6 ადამიანი მუშაობს. პარტიამ ასევე, დაიწყო სოფლებში გასვლა და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები.

„ადამიანური რესურსი ნამდვილად გვაქვს. დეკემბერში, როცა ჩვენი პარტიის სხდომა ჩატარდა, მას აბსოლუტურად ყველა რაიონის ყველა ლიდერი უცვლელად ესწრებოდა. სამეგრელოს რვავე რაიონში ძველი ლიდერები რჩებიან, საკუთარ გუნდთან ერთად. ხოლო რაც შეეხება ფინანსურ რესურსს, ის ძალიან მწირია“, - ამბობს ლაღუა.

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ საარჩევნო პროგრამაში უმთავრეს პრიორიტეტად საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას, სასამართლოს მიუკერძოებლობას, პოლიციის სისტემურ შეცვლას და განათლების ხელმისაწვდომობას ასახელებს. ზამირა ლაღუას თქმით, პარტიის ოფისში გაწევრიანების მსურველები და უბრალოდ მხარდამჭერები ხშირად დადიან, რაც მას არჩევნებში კარგი შედეგების მიღწევის რწმენას აძლევს.

არჩევნებისთვის აქტიურად ემზადება „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ზუგდიდის ორგანიზაცია. მისი ხელმძღვანელი კახა სარია აცხადებს, რომ 2011 წლიდან, მას შემდეგ, რაც მოძრაობამ ოფისი გახსნა ზუგდიდში, მუშაობა არ შეუწყვეტია. თუმცა, მისივე თქმით, წინასაარჩევნო პერიოდში სამუშაოს რაოდენობა განსაკუთრებით იზრდება.

„უკვე ყოველდღიურად ვმუშაობთ, გარდა იმ დღეებისა, როცა სოფლებში გვაქვს შეხვედრები. ამ ეტაპზე ჩვენს პარტიაში 400-მდე წევრია და გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა იზრდება. ადგილზე ოფისში 10 ადამიანი ვართ. ჩვენი გამოთვლებით, საარჩევნო უბნებზე 520 ადამიანი იქნება ჩვენი მხარდამჭერი. თითოეულ მათგანს მაღალკვალიფიციური ტრენინგები ჩაუტარდება. ჩვენ ორიენტირებული ვართ გამარჯვებაზე და არა ერთმანეთისთვის ცხვირ-პირის გასისხლიანებაზე“, - ამბობს კახა სარია.

მისივე განმარტებით, ქდმ-ის საარჩევნო პროგრამაში ყველაზე მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაა. „მოძრაობის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ სამეგრელოში მწვავედ დგას ე.წ. „თეთრი პეპლის“ საკითხი, რომელიც ეკოლოგიურ კატასტროფას უქადის რეგიონს“, აცხადებს კახა სარია და ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება, განათლების სისტემის მოწესრიგება, ჯანდაცვის ხელისაწვდომობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქდმ-ის მთავარი პრიორიტეტებია 2012 წლის არჩევნებზე.

კახა სარია ამბობს, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგება პოლიტიკური კონკურენტების მოსაზრებას, თითქოს, ქდმ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს.

„ერთადერთი, ჩვენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ვთანამშრომლობთ, მაშინ როცა მოქალაქეების პრობლემების მოგვარებას ვცდილობთ. თუმცა, სამწუხაროდ, შედეგი ძალიან იშვიათად გვაქვს“, - განმარტავს კახა სარია, რომელიც ვერ იხსენებს ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ზეწოლის ფაქტებს.

„რა თქმა უნდა, ხელისუფლებასთან თანაბარ პირობებში არ ვართ. მათი მხრიდან ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტი არის ის, რომ პრობლემებს ვერ აგვარებენ. მე, ჩვენი 400 წევრისგან არ მსმენია, რომ მათ ზეწოლაზე ან დაშინების ფაქტებზე ესაუბრათ“.

კახა სარია აცხადებს, რომ ქდმ წინასაარჩევნო კამპანიას უახლოეს მომავალში, საზოგადოებისთვის ცნობილი და ახალი სახეების წარდგენით დაიწყებს.

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ მთავარი კომიტეტის პრეზიდენტის წევრი და სამეგრელოს ბიუროს თავმჯდომარე, კახა ჯიქია ამბობს, რომ მისი პარტია უხუცესია და 2011 წლამდე, სანამ ედპ ოფისს გახსნიდა ზუგდიდში, სახლებსა თუ ქუჩებში იკრიბებოდნენ. ახლა ედპ-ს ოფისი სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში აქვს და არჩევნებში ჩართვას აქტიურად გეგმავს. პარტია 2 წელია რაც განახლებული პროგრამით შეუდგა მუშაობას. კახა ჯიქიას თქმით, ამ ეტაპზე აღდგენილია სამეგრელოს ყველა ბიურო, მიმდინარეობს პარტიის ერთგული წევრების მობილიზება.

„პოლიტიკური ორგანიზაციის ყოველი დღე არის არჩევნებისთვის მზადება, ჩვენ დავიწყეთ კარდაკარ შეხვედრების მეორე ეტაპი და ყველა ოჯახში უნდა მივიდეთ. ჩვენი სააგიტაციო მასალა - საინფორმაციო ბუკლეტი ყველა ოჯახში უნდა მოხვდეს. ამ ეტაპზე რეგიონის მასშტაბით გავრცელებულია 7000 ცალი ბუკლეტი. მზად გვაქვს ჩვენი პარტიის გაზეთებიც და დაახლოებით 20 ათას ცალს დავარიგებთ უახლოეს მომავალში. ვხვდებით მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდი აქტიურად არ ვმუშაობდით, ხალხი მაინც დადებითად გვხვდება“, - ამბობს კახა ჯიქია.

მისივე განცხადებით, ედუ-ის პროგრამაში სიახლეა სოფლის მეურნეობაზე, დასაქმებასა და ჯანდაცვის სისტემაზე აქცენტის გაკეთება, რადგან პარტიას განსაკუთრებული აქცენტი ყოველთვის ჰქონდა და აქვს დემოკრატიის განვითარებაზე. რაც შეეხება ხელისუფლებასთან დამოკიდებულებას, კახა ჯიქია ამბობს, რომ ზოგჯერ ადამიანები მხოლოდ 2 ფერს - თეთრსა და შავს ხედავენ.

„ვილაცისთვის სააკაშვილი თეთრია, ვილაცისთვის - შავი. როცა ორ გუნდად ყოფენ, ამ დროს მესამე, რომელიც ოდნავ ნეიტრალურია, ბევრისთვის უკვე ან ერთთან არის შეკრული, ან მეორესთან. რა საკითხშიც ხელისუფლებას ვეთანხმებით, საგარეო პოლიტიკაა. როცა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები ჯერ კიდევ ბავშვები იყვნენ, ჩვენ რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ ვიბრძოდით. ალბათ, ამ ხედვის გამო ვგონივართ ვილაცასთან შეკრული“, - ამბობს კახა ჯიქია.

საარჩევნო პრიორიტეტები მოსახლეობაში ჩატარებული ერთგვარი კვლევების შემდეგ შეიმუშავეს „ახალმა მემარჯვენეებმა“. პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე შოთა მიქავა ამბობს, რომ კვლევის თანახმად, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში სოფლის მეურნეობაა და პარტიაც ამ კუთხით აპირებს სამუშაოს გააქტიურებას. შოთა მიქავას განმარტებით, წინასაარჩევნო სამზადისში პარტიის ახალგაზრდული ფრთა აქტიურად ჩაერთო. „ახალმა მემარჯვენეებმა“ ზუგდიდში საორგანიზაციო საკითხები უკვე მოაგვარეს. ქალაქის ცენტრში განთავსებულ ოფისში ყოველდღიურად 5 წევრი მუშაობს და როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამბობს, თანამშრომელთა რიცხვი თანდათანობით გაიზარდება.

„ზუგდიდში გვაქვს 6 ოფისი. გახსნილია ოფისები სამეგრელოს სოფლებშიც. 3-4 თვეა, რაც ამ ოფისებმა მუშაობა განაახლა“. შოთა მიქავას თქმით, მიუხედავად ამისა, რომ „ახალი მემარჯვენეები“ აქტიურად ჩაერთვნენ წინასაარჩევნო სამზადისში, არავის უცდია „მათთვის ხელის შეშლა“.

„ჩვენთან ყველაფერი ნორმალურად მიდის, სხვა პარტიებში რა ხდება, ვერ გეტყვით. ვფიქრობ, ჩვენი რესურსებით ცოტა გაგვიჭირდება „ქართული ოცნებისთვის“ კონკურენციის გაწევა“, - ამბობს შოთა მიქავა და დასძენს, რომ ამ ეტაპზე „ახალი მემარჯვენეების“ ფინანსური რესურსი მხოლოდ ოფისის ქირასა და სხვა წვრილმან ხარჯებს უმკლავდება.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს 3 თვის წინ ზუგდიდში დაფუძნებული პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“. პარტია რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა, მინდია გულუამ დააფუძნა. პარტიის ზუგდიდის ორგანიზაციის

თავმჯდომარე, ალვერ იზორია ამბობს, რომ მინდია გულუა აფხაზეთში დაბადებული და გაზრდილია, ამიტომ მას განსაკუთრებულად შესტკივა გული ამ ტერიტორიაზე.

„მინდია ამბობს, მე თავს შევწირავ და აფხაზეთს აუცილებლად დავიბრუნებო“, - თქვა ალვერ იზორიამ.

მისივე თქმით, პარტიის დამფუძნებლის მთავარი მიზანი არა პარლამენტში შესვლა, არამედ დასახული მიზნების ღირსეულად შესრულებაა. „განახლებული საქართველოსთვის“ ოფისები გახსნილი აქვს როგორც ზუგდიდში, ასევე სამეგრელოს რამდენიმე სოფელშიც.

„პარტიაში ძალიან ბევრი ადამიანი მოდის გასაწევრიანებლად. ვფიქრობ, ეს განაპირობა ჩვენმა ხედვამ და პრიორიტეტებმა, რომელთა შორის უმთავრესად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მიგვაჩნია. მე ბატონ მინდიას პირადად არ შევხვედრივარ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს პოლიტიკური გამოცდილება, გაკვირვებული ვარ მისი ცოდნით და დონით“, - ამბობს ალვერ იზორია.

„განახლებული საქართველოსთვის“ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან ერთად აქცენტებს აკეთებს სოფლის მეურნეობის გავითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზე. ალვერ იზორიას განცხადებით, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მათი მისამართით განსაკუთრებული „ყურადღება“ პარტიის დაფუძნების დღიდან იგრძნობა. ორგანიზაციის თავმჯდომარის თქმით, პარტიის წევრებსა და აქტივისტებს ხშირად ურეკავენ და ამინებენ.

„პარტიის სადამფუძნებლო კრებაზე მომავალ ხალხს გზაში აჩერებდნენ და ზუგდიდში ჩამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ“. ალვერ იზორიას განმარტებით, პარტია გაჩერებას არ აპირებს და ღირსეული პარტიის სახელის დამკვიდრებას გეგმავს.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ამომრჩეველთა ლიგის“ წევრი, კახა მიქაია. მისი თქმით, მოძრაობა აქტიური დამკვირვებლის ფუნქციას შეასრულებს და „ადგილობრივ კლანებს არჩევნების გაყალბების უფლებას არ მისცემს“.

კახა მიქაია, რომელიც კოალიცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრის, სერგო ჩაჩიბაიას სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე დააკავეს, ამბობს, რომ მას კოალიციის მიმართ განსაკუთრებული სიმპათია არ ამოძრავებს. ის „უსამართლობას ებრძვის“. მიიჩნევს, რომ სერგო ჩაჩიბაია პოლიტპატიმარია: „სწორედ ამიტომ ვიდექი იმ დღეს სასამართლოს წინ“. კახა მიქაიამ 10 დღიანი ადმინისტრაციული სასჯელი მოიხადა. მას ბრალად ედებოდა სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა სიმშვიდის დარღვევა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიების ზუგდიდის ორგანიზაციებმა წინასაარჩევნო სამზადისი უკვე დაიწყეს, მათი დიდი ნაწილი სამუშაოს გააქტიურებას საარჩევნო კამპანიის დაწყების შემდეგ გეგმავს. შეიძლება ითქვას, რომ ზუგდიდში

პროექტი - „მოქალაქე ჟურნალისტები გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნებისთვის“

წარმოდგენილი პოლიტიკური სუბიექტების საარჩევნო დაპირებები იდენტურია, ყველა მათგანი აპირებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის მოწესრიგებას. ყველა პოლიტიკური სუბიექტი მოქალაქეთა მხარდაჭერაში დარწმუნებულია და ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას გეგმავს.

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.

